

გაუნტერ აიხი
წვიმის უწყებანი



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2017

გ. მ. შ. ნ. ტ. ა. ი. ს. ი.

წვიმის უწყებანი

გერმანულიდან თარგმნა
დათო ბარბაქაძემ

GÜNTER EICH
BOTSCHAFTEN DES REGENS
GEDICHTE

Aus dem Deutschen ins Georgische übersetzt von
Dato Barbakadse

Diese Ausgabe wurde unterstützt von
BRIGITTE WALTHERS

Die Herausgabe erfolgt mit freundlicher Genehmigung des Suhrkamp Verlages.

Bei diesem Buch handelt es sich um eine nichtkommerzielle Ausgabe.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს 2015 წელს განხორციელებული ორეგ ზემპლარიანი კერძო გამოცემის მცირე-ფორმატიან, უცვლელ გამეორებას (გამომცემლის წარუმატებელი ძიების შემდეგ).

März, 2017

Verlag „**UNIVERSALI**“, 2017

I. Tschawtschawadse Str. 19. 0179 Tbilissi, Georgien,

☎: 2 22 36 09, 5 99 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-971-8

* * *

XX საუკუნის გერმანული პოეზიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, გაუნტერ აიხის (1907-1972) „წვიმის უწყებანი“ (1955) დღემდე რჩება პოეტის ყველაზე უფრო ცნობილ წიგნად. ეს ლექსები, როგორც მოდერნისტული ლირიკის ცენტრალური ტექსტები, თარგმნილია მრავალ ენაზე, ისინი შეაქვთ გერმანული პოეზიის ანთოლოგიებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში, აიხის შემოქმედებაზე კი წერდნენ და წერენ საუკეთესო ევროპელი ლიტერატორები. ამ წიგნის ლომის წილია იმაშიც, რომ ავტორმა 1959 წელს გერმანული ლიტერატურის უმაღლესი ჯილდო – გეორგ ბაუხნერის პრემია – დაიმსახურა. აიხის მედიტაციური პოეზია იმ სიმშვიდისა და ნონასწორობის მოხელთებას და პოეტურ ენაზე ამეტყველებას ცდილობს, რომელსაც ბუნება ასწავლის ადამიანს. ეს ლექსები სწორედ ბუნების ურთულესი შიფრების ამოცნობის ხელოვნებისა და ყოველდღიურ ყოფაში მათდამი ერთგულების გამოცხადების ნიმუშებია. მაგრამ მათ ვერ დავარქმევთ მკითხველის სიმშვიდ-

ის უზრუნველყოფელ ტექსტებს; პოეტი საგანგებოდ აზუსტებდა, რომ ნამდვილი პოეზია მკითხველს არ ტოვებს მშვიდს, იგი მას აფხიზლებს და აფორიაქებს. აიხის ლექსები იოლად საკითხავი, მაგრამ რთულად გასაგებია. ის ნიუანსების პოეტია, ფილიგრანული ფორმით, სოციალურ და ფილოსოფიურ კონტექსტებს შორის არაზედაპირული დიალოგის კულტურით, ენის შესაძლებლობათა ღრმა ცოდნით. მისი სახელგანთქმული საპროგრამო სიტყვები „იყავით მოუხერხებელნი, სამყაროს მექანიზმში იყავით ქვიშა და არა – ზეთი“ პოეტური არსებობის მიერ ნორმატული ცნობიერების, ნორმატული სოციალური წესრიგის, სოციალური უხემობისა და ხელოვნებაზე ვულგარული შეტევების მრავალფეროვნების მიმართ დაუმორჩილებლობის პაროლია. აიხი აღნიშნავდა, რომ ძალაუფლება დარწმუნებულია ხელოვნების უწყინარობაში, იმაში, რომ ხელოვნება მას პრობლემებს ვერ შეუქმნის; არადა, ძალაუფლებისთვის უკვე პრობლემას ქმნის მის მიერ პოეტური ენის მართვის შეუძლებლობა, პოეტურ სანყისზე ძალაუფლების მოპოვების შეუძლებლობა; შესაბამისად, სწორედ პოეტური ენა და პოეტური ცნობიერებაა ძალაუფლებისთვის ყველაზე არასასურველი რეალობა (ოღონდ აქ დიახაც პოეზია იგულისხმება და არა –

მისი სიმულაციების მრავალფეროვნება!!!). აიხსვე ეკუთვნის მოხდენილი განსაზღვრება, რომ ძალაუფლება ის არის, რაც ეწინააღმდეგება ხარისხს. აიხი ბევრს არ წერდა (მისი პოეზია კი მისი მთლიანი შემოქმედების კიდევ უფრო მცირე ნაწილს შეადგენს), მაგრამ დიდხანს მუშაობდა თითოეულ ლექსზე. სწორედ ასეთი ინტენსიური კონცენტრაციის შედეგად იქმნებოდა ყოველმხრივ დახვეწილი მისი ლექსები.

წიგნის ქართული თარგმანი ეძღვნება **ნინო კოპაძეს**.

დ. ბ.

თბილისი, 2015

ENDE EINES SOMMERS

Wer möchte leben ohne den Trost der Bäume!

Wie gut, daß sie am Sterben teilhaben!

Die Pfirsiche sind geerntet, die Pflaumen färben
sich,
während unter dem Brückenbogen die Zeit rauscht.

Dem Vogelzug vertraue ich meine Verzweiflung an.

Er mißt seinen Teil von Ewigkeit gelassen ab.

Seine Strecken

werden sichtbar im Blattwerk als dunkler Zwang,
die Bewegung der Flügel färbt die Früchte.

Es heißt Geduld haben.

Bald wird die Vogelschrift entsiegelt,

unter der Zunge ist der Pfennig zu schmecken.

ერთი ზაფხულის დასასრული

ვინ ისურვებდა სიცოცხლეს, ხეთა ნუგეშს
მოკლებულს!

მათ რომ კვდომაში წილი უდევთ, რარიგ კარგია!
ატამი უკვე დაიკრიფა, ქლიავი კი ჯერაც ფერს
იკრებს,
როცა შრიალით მილივლივებს დრო ხიდის
თაღქვეშ.

სასონარკვეთას ფრინველების ქარავანს ვანდობ.
აუღელვებლად მიიზომავს ის თავის წილს
მარადისიდან.

მისი ყოველი მონაკვეთი
ფოთლეულში გაცხადდება ბნელ იძულებად,
ფრთებისცემა ნაყოფებს ფერავს.

ეს მოთმინებით ყოფნას გულისხმობს.
მალე ფრინველთა დამწერლობა განიბეჭდება,
ხოლო ენის ქვეშ საგრძნობია პფენიგის გემო.

TAGE MIT HÄHERN

Der Häher wirft mir
die blaue Feder nicht zu.

In die Morgendämmerung kollern
die Eiicheln seiner Schreie.
Ein bitteres Mehl, die Speise
des ganzen Tags.

Hinter dem roten Laub
hackt er mit hartem Schnabel
tagsüber die Nacht
aus Asten und Baumfrüchten,
ein Tuch, das er über mich zieht.

Sein Flug gleicht dem Herzschlag.
Wo schläft er aber
und wem gleicht sein Schlaf?
Ungesehen liegt in der Finsternis
die Feder vor meinem Schuh.

დღეები ჩხიკვაძთან ერთად

ჩხიკვი არ მჩუქნის
თავის ლურჯ ნაკრტენს.

რკოები ჩხიკვის მოძახილთა –
ალიონზე ჭახჭახით რბიან.
მწარე ფქვილი, მთელი დღის
საზრდო.

წითელ ფოთლებში შემალული,
მტკიცე ნისკარტით,
მთელი დღე, ღამედ ანაწევრებს
ტოტნარებს და ხეთა ნაყოფებს,
რიდედ, თავზე რომ გადამატარებს.

გულისცემას ჰგავს მისი ფრენა,
მაგრამ სად სძინავს
და მისი ძილი რას მივამსგავსო?
უხილავი ნაკრტენი ბნელში
ჩემი ფეხსაცმლის ჭვინტს მისწოლია.

WALDBLÖSSE

Die spinnwebüberzogenen Gräser,
ein Fahrrad am Kieferstamm,
der Fasan im Rucksack des Försters –

es rinnt zum Zeichen zusammen,
das die Vogelschwärme mitnehmen
ins Winterquartier.

Der Ring der Vogelwarte.

Ein Fremder entdeckt ihn
am Fuß der Grasmücke.
Verwundert liest er die Botschaft.

ტყის ველოზი

აბლაბუდაგადაკრული ბალახ-ბულახი,
ველოსიპედი – ფიჭვის ხესთან,
მეტყევის ხობიანი ზურგჩანთა –

ველოსიპედი იმ ნიშნისკენ აჩქარებულა,
ფრინველები გუნდ-გუნდად რომ წარიტანენ
ზამთრის სადგომში.

ორნითოლოგიური რგოლი.

მავანმა იგი
ასპუჭაკას უპოვა ფეხზე.
გაოცებული ჩაჰკირკიტებს ახლა უწყებას.

GEGENWART

An verschiedenen Tagen gesehen,
die Pappeln der Leopoldstraße,
aber immer herbstlich,
immer Gespinste nebliger Sonne
oder von Regengewebe.

Wo bist du, wenn du neben mir gehst?

Immer Gespinste aus entrückten Zeiten,
zuvor und zukünftig:
Das Wohnen in Höhlen,
die ewige troglodytische Zeit,
der bittere Geschmack vor den Säulen Heliogabals
und den Hotels von St. Moritz.
Die grauen Höhlen, Baracken,
wo das Glück beginnt,
dieses graue Glück.

Der Druck deines Amtes, der mir antwortet,
der Archipelag, die Inselkette, zuletzt Sandbänke,
nur noch erahnbare Reste
aus der Süße der Vereinigung.

ანემყო

სხვადასხვა დღეს დანახული,
ლეოპოლდის ქუჩის ალვები,
მაგრამ ყოველთვის შემოდგომური,
ყოველთვის ნართნი ნისლიანი მზის
ან – წვიმის ბადის.

სად ხარ შენ მაშინ, ჩემთან ერთად როცა
დადიხარ?

მიწყვიტე განლევად დროთა ნართნი,
ნამყოც, მყოფადიც:
ცხოვრება გამოქვაბულებში,
მარადი ტროგლოდიტური ერა,
მწარე გემო ჰელიოგაბალუსის სვეტთა წინ და –
წმინდა მორიცის სასტუმროთა წინ.
პირქუში გამოქვაბულები, ბარაკები,
ბედნიერება სადაც იწყება,
ეს პირქუში ბედნიერება.

ღონიერი შენი მკლავი, მე რომ მპასუხობს,
არქიპელაგი, კუნძულთა ჯაჭვი, ხოლო ბოლოს –
ქვიშის ბორცვები,
მხოლოდ წინდანინ მისახვედრი ნარჩენები

(Aber du bist von meinem Blute,
über diesen Steinen, neben den Gartensträuchern,
ausruhenden alten Männern auf der Anlagenbank
und dem Rauschen der Straßenbahnlinie sechs,
Anemone, gegenwärtig
mit der Macht des Wassers im Aug
und der Feuchtigkeit der Lippe –)

Und immer Gespinste, die uns einspinnen,
Aufhebung der Gegenwart,
ungültige Liebe,
der Beweis, daß wir zufällig sind,
geringes Laub an Pappelbäumen
und einberechnet von der Stadtverwaltung,
Herbst in den Rinnsteinen
und die beantworteten Fragen des Glücks.

ერთუროთთან შერწყმის სიტკბოებისა.

(მაგრამ შენ ჩემი სისხლთაგანი ხარ,
ამ ქვათა ზედა და გვერდიგვერდ ბალის
ბუჩქნართა,
სკვერში მერხებზე მოსვენებით მსხდომ
ბერიკაცთა,
და – ტრამვაის ხაზის გვერდიგვერდ, ნომერი
ექვსის,
ფრინტა, შენ ხარ თანამედროვე
ძალაუფლებით თვალის წყლისა
და ბაგეთა სინოტივისა –)

და მიწყევ ნართნი, ჩვენს ირგვლივ რომ
დაირთვებიან,
ანწყოს შეწყვეტა,
სიყვარული ვადაგასული,
სამხილი იმის, რომ ჩვენ მხოლოდ შემთხვევითნი
ვართ,
ფოთოლთ სიმწირე ალვის ხეებზე
და – ანგარიშში ჩაგდებული ქალაქის
თვითმმართველობის მიერ,
შემოდგომა სანიაღვრე არხებში და –
უკვე პასუხგაცემული საკითხები ბედნიერების.

D-ZUG MÜNCHEN - FRANKFURT

Die Donaubrücke von Ingolstadt,
Das Altmühltal, Schiefer bei Solnhofen,
in Treuchtlingen Anschlußzüge –

Dazwischen
Wälder, worin der Herbst verbrannt wird,
Landstraßen in den Schmerz.
Gewölk, das an Gespräche erinnert,
flüchtige Dörfer, von meinem Wunsch erbaut,
in der Nähe deiner Stimme zu altern.

Zwischen den Ziffern der Abfahrtszeiten
breiten sich die Besitztümer unserer Liebe aus.
Ungetrennt
bleiben darin die Orte der Welt,
nicht vermessen und unauffindbar.

Der Zug aber
treibt an Gunzenhausen und Ansbach
und an Mondlandschaften der Erinnerung
– der sommerlich gewesene Gesang
der Frösche von Ornbau –
vorbei.

სწრაფი მატარებელი: მიუნხენი-ფრანკფურტი

დონაუს ხიდი ინგოლშტადტში,
ალტმიულის ხეობა, ფიქალი ზოლნჰოფენტან,
ტროიხტლინგენში – გადასაჯდომი მატარებლები;

მათ შორის კი –
ის ტყეები, შემოდგომა რომლებშიც იწვის,
მწუხარებისკენ მიმავალი გზატკეცილები,
ღრუბლები, იმ ჩვენს საუბრებს რომ
გამახსენებენ,
სწრაფი სოფლები, ნაშენები ჩემი სურვილით –
ვბერდებოდე შენი ხმის ახლოს.

ციფრებს შორის, გასვლის დროს რომ აღნიშნავენ,
განვრცობილან ჩვენი ტრფობის სამფლობელონი.
განუყოფელნი
რჩებიან მათში ადგილები ქვეყნიერების,
აუზომელი და მიუგნები.

ხოლო ამ დროს მატარებელი
ჩაუქროლებს გუნცენჰაუზენს და ანსბახს და
მოგონების იმ მთვარიან პეიზაჟებს:
ზაფხულობით ორნჰაუში
ბაყაყები როცა იმღერდნენ.

DER GROSSE LÜBBE-SEE

Kraniche, Vogelzüge,
deren ich mich entsinne,
das Gerüst des trigonometrischen Punkts.

Hier fiel es mich an,
vor der dunklen Wand des hügeligen Gegenufers,
der Beginn der Einsamkeit,
ein Lidschlag, ein Auge,
das man ein zweites Mal nicht ertrüge,
das Taubenaugen mit sanftem Vorwurf,
als das Messer die Halsader durchschnitt,
der Beginn der Einsamkeit,
hier ohne Boote und Brücken,
das Schilf der Verzweiflung,
der trigonometrische Punkt,
Abmessung im Nichts,
während die Vogelzüge sich entfalten,
Septembertag ohne Wind,
guldene Heiterkeit, die davonfliegt,
auf Kranichflügeln, spurlos.

ლიუბკეს დიდი ტბა

წეროები, ფრინველების ქარავნები,
მე რომ ვიხსენებ,
ტრიგონომეტრიული წერტილის ჩარჩო.

თავს აქ დამაცხრა,
გორაკიანი გაღმა ნაპირის შავ კედლამდე,
სიმარტოვის დაწყებამდე,
ციმციმი, თვალი,
მეორედ რომლის დათმენასაც ვერავინ შეძლებს,
სავსე მსუბუქი საყვედურით, თვალი მტრედისა,
როცა ყელის ძარღვს დანა სერავდა,
სიმარტოვის დასაწყისი,
აქ, უნავებოდ და უხიდებოდ,
ლერნამი სასონარკვეთისა,
ტრიგონომეტრიული წერტილი,
გაზომვები არარაში,
როცა ფრინველთა ქარავნები არ იშლებიან,
ქარს მოკლებული სექტემბრის დღე,
ოქროვანი ნათლის ლაღობა, უკვალოდ რომ
განქარდება
წეროს ფრთებიდან.

HERRENCHIEMSEE

All ihr herbstlich Fliegenden
Vogelwind, Vogelblätter –
Weinlese ist gehalten,
in den Bergen fällt Schnee.

Ludwig wollte nicht, daß man ihn essen sah.
Zu unsichtbaren Kerkern gerinnt der Föhn,
wie leicht aber erklärte sich alles
aus den Wirbeln des fallenden Eschenblatts!

Vom Wald her beginnt der Regen,
der zur Tafel des Königs kommt,
vom Rohr her die Glocke der weidenden Kühe,
daß er die Ohren mit Wachs verstopft.
Hinter den Schlüssellochern lachen die Diener.

All ihr herbstlich Fliegenden,
schwarze Blätter zur Dämmerung,
wenn die ersten Fenster hell werden
mit verzweifelmtem Licht,
wenn ich mein Kind lachen höre
und die Augen hinter den Händen verberge.

ჰერენსიმზაე

თქვენ, ყოველნო, მიმომფრენნო შემოდგომაზე:
ფრინველქარო, ფრინველფოთლებო –
რთველი დასრულდა,
მთებს უკვე ათოვს.

ლუდვიგს არ სურდა, ის ჭამის დროს ვინმეს ენახა.
თბილ-მშრალი ქარი თვალთუხილავ დილეგებში
შეიგრაგნება.
არადა, ამ დროს ეს ყოველი რა იოლად აიხსნებოდა
იფანს მომწყდარი ხმელი ფოთლის ბრუნვა-
ფარფატი!

ტყიდან იწყება და მოდის ნვიმა,
მეფის სუფრას რომელიც სტუმრობს,
ლერწმიდან – ველად მობალახე ძროხების გონგი,
რაც აიძულებს, ამოივსოს ყურები ცვილით.
მოახლეები იცინიან გასაღებთა ბუდეებს მიღმა.

თქვენ, ყოველნო, მიმომფრენნო შემოდგომაზე:
შავო ფოთლებო დილის ბინდბუნდში,
პირველ სარკმლებს
უიმედო სინათლე რომ ააციაგებს,
და ჩემი ბავშვის სიცილის ხმა როცა ჩამესმის
და თვალებს უმაღ ხელებში ვმაღავ.

BOTSCHAFTEN DES REGENS

Nachrichten, die für mich bestimmt sind,
weitergetrommelt von Regen zu Regen,
von Schiefer- zu Ziegeldach,
eingeschleppt wie eine Krankheit,
Schmuggelgut, dem überbracht,
der es nicht haben will –

Jenseits der Wand schallt das Fensterblech,
rasselnde Buchstaben, die sich zusammenfügen,
und der Regen redet
in der Sprache, von welcher ich glaubte,
niemand kenne sie außer mir –

Bestürzt vernehme ich
die Botschaften der Verzweiflung,
die Botschaften der Armut
und die Botschaften des Vorwurfs.
Es kränkt mich, daß sie an mich gerichtet sind,
denn ich fühle mich ohne Schuld.

Ich spreche es laut aus,
daß ich den Regen nicht fürchte und seine Anklagen
und den nicht, der sie mir zuschickte,

წვიმის უწყებანი

ცნობები, ჩემთვის განკუთვნილი,
გადაცემული ბრაგაბრუგით წვიმიდან წვიმას,
შიფერის სახურავიდან – კრამიტის სახურავს,
გავრცელებული, როგორც სენი,
კონტრაბანდა, შეტოვებული სწორედ იმას,
ვისაც ის არ სურს –

კედლის მიღმა ხმას იმაღლებს სარკმლის თუნუქი,
მორახრახე ასოები მთლიანდებიან,
და წვიმა იწყებს მეტყველებას
იმ ენაზე, რომელიც, ვფიქრობ,
მარტო მე ვუნცი –

თავზარდაცემულს ჩამესმიან
უწყებანი სასონარკვეთის,
და – სილატაკის უწყებანი,
და – ბრალდების უწყებანი,
და გული მტკივა, მომართულნი რომ არიან ისინი
ჩემკენ,
რაკილა ვიცი, არაფერში მიმიძღვის ბრალი.

ხმამალლა ვამბობ,
რომ მე არც წვიმის და არც მისი ბრალდებების არ
მეშინია,

daß ich zu guter Stunde
hinausgehen und ihm antworten will.

არც იმას ვუფრთხი, ვინც ისინი გამომიგზავნა;
რომ მე მსურს, როცა სათანადო დრო დადგება,
გავიდე და პასუხი გავცე.

VERLASSENE ALM

Regenwasser
in den Trittspuren der Kühe.
Ratlose Fliegen
nah am November.

Der rote Nagel wird den Wind nicht überstehen.
Der Laden wird in den Angeln kreischen,
einmal an den Rahmen schlagen,
einmal an die Mauer.

Wer hört ihn?

მიტოვებული მთის საკოვარი

წვიმის წყალი –
ფურცროხათა ნაკვალევებში.
დაბნეული ბუზანკალი –
ნოემბრისპირზე.

ქარი უთუოდ დაამარცხებს ამ წითელ ლურსმანს.
მერე დარაბა ანჯამებსაც ააღრჭრიალებს,
აქეთ ჩარჩოს მიეხლება,
იქით კი – კედელს.

ყურს ვინ დაუგდებს?

WESTWIND

Vorhergesagter Wind,
atlantische Störung,
der Schnee herträgt
und das Feuer im Ofen schürt.

Rostfleck
auf der Rüstung des Kreuzfahrers,
Regentropfen, nicht mehr weggewischt,
weil er starb.

Geruch des Hundefells
und verklebtes Haar.
Weich sinken die gespaltenen Hufe
der Zugoachsen ein.

Auf der Kapuze
Perlen getauten Schnees,
beleuchtet
vom Schaufenster des Krämers.

Atlantisches Tief.
Morgen sind die Häher
auf den Tannen

დასავლეთის ქარი

ნანინასწარმეტყველები ქარი,
ატლანტიკური ციკლონი,
თოვლს რომ მოიტანს
და ლუმელში ცეცხლს გააღვივებს.

ჟანგის ლაქა
დამჩნევია აღჭურვილობას,
წარუხოცავი წვიმის წვეთი,
ჯვაროსანი რაკილა მოკვდა.

ძალის ბენვის სუნისცემა,
თმა – შეზეპილი.
რბილად აწვება მუშა-ხარის
განწვალული ჩლიქები მინას.

კაპიუმონზე –
გამდნარი თოვლის მარგალიტები,
მენვრილმანის ვიტრინა რომ
ააციაგებს.

ატლანტიკური ქარიშხალი.
ხვალ ნაძვის ხეებს
შერჩენილ ჩხიკვთა არჩევანი

voll Einverständnis.

Längen- und Breitengrad,
das Gemeindesiegel,
das den Ort festlegt,
der Regentropfen
auf der Geburtsurkunde.

Das Salz der Weisheit
und die Gräber auf dem Kirchengügel.
Ich sage dir nicht oft genug,
daß ich dich liebe.

ერთხმა იქნება.

განედის და გრძედის გრადუსი,
თემის ბეჭედი
დაადგენს ადგილს,
დაბადების მონმობაზე –
წვიმის ნანვეთი.

მარილი ჭეშმარიტებისა,
ეკლესიის გორაკზე კი – მესაფლავენი.
უფრო ხშირად უნდა გითხრა:
მე შენ მიყვარხარ.

STRANDGUT

Bruchstücke von Gesprächen,
die unter Wasser geführt werden,
auf den Sand geworfene Antworten, –

Keine Fährten. aber die Wellenränder
mit Quallen und Algenteilchen,
Holzsplitter, Muschelschale und Bernsteinrest,
und die Welle, die zurückläuft,
daß hinter der Feuchtigkeit
der Sand sich wieder erhellt,
als begeben sich eine schnelle Dämmerung.

Die Frage erwartend
flattert das Gras auf der Düne.

გამონარიჟი

იმ საუბართა ნაწყვეტები,
გამართული რომ არის წყალქვეშ,
პასუხები, სველ ქვიშაზე გამორიყული, –

არავითარი ნაკვალევი, მაგრამ ტაღღის ქობებს
ასხმული

მედუზები, ნაკუნები წყალმცენარეთა,
ხის ნამტვრევები, ნიჟარა და ნაშთი ქარვისა,
და მერე – უკუქცეული ტაღღა,
სისვეღის მიღმა
რათა ქვიშა ისევ განათღეს:
განთიადი დამდგარიყოს თითქოს ერთბაშად.

ბაღახი, კითხვის მომლოღინე,
სიღის ბორცვზე აღეღვებულა.

STRAND MIT QUALLEN

Sterntaler, Meertaler,
geprägt in der Schmiede des Wassers
unter der Herrschaft nicht mehr verehrter Könige.
Silberner Schleim, erstarrt im Dezemberfrost.
Undeutbar
das rötlich durchscheinende Wappentier,
hieroglyphisch die Inschrift.

Verborgen sind die Märkte,
wo Tangwälder von Träumen gehandelt werden,
Anteile am Regen, der ins Meer fällt,
und das Bürgerrecht versunkener Städte.

Die Armut bückt sich nicht,
die Kiefer dreht sich landeinwärts.
Niemand wird erwartet außer dem Wind.

მედუზეპიანი სანაპირო

ვარსკვლავტალერი, ტალერი ზღვისა,
მოჭრილი წყალთა სამჭედლოში
უკვე აღარსათაყვანო ხელმნიფეთა
მბრძანებლობისას.

ვერცხლის ლორწო, გაყინული დეკემბრის სუსხში.
ბუნდოვანია
მონითალოდ გაცრეცილი ცხოველი გერბზე,
წარწერა – იეროგლიფური.

უჩინარია ის ბაზრები,
სადაც სიზმრების წყალმცენარეთა ტყეებს ყიდიან,
წილებს წვიმისა, რომელიც ზღვაში ჩაედინება,
და – ჩაძირული ქალაქების მოქალაქედ ყოფნის
უფლებას.

სიღარიბე ქედს არ იხრის,
ფიჭვი მინაში ჩაბრუნებულა.
ქარის გარდა არვის ელიან.

BELAGERUNG

Vögel, die um Futter kommen,
behalten dein Bild auf der Netzhaut.
Sie tragen es zu den Wölfen ins Dickicht,
in die Bereitstellung der Springflut
und zum Sammelplatz der Haie.

Abends sollen dich
die Sonnenuntergänge sicher machen
und die Freundlichkeit,
mit der die Fenster erleuchtet werden.
Aber du weißt, welche Lieder
sich über den grünen Lichtern geöffnet haben.
Die Auswege sind bewacht.

Würfle es jetzt, da du umstellt bist,
zähle es ab an den Ästen vor deinem Fenster,
lies es in den Linien deiner Hand:
Der den Angriff befiehlt,
ist auch um deine Rettung besorgt.

Die Wölfe verlieren morgens deine Spur im Schnee.

აღყა

შენს ხატს ინახავს იმ ფრინველთა თვალის ბადურა,
დასანაყრებლად რომ გაკითხავენ.

მერე თან მიაქვთ იგი მგლებთან უსიერ ტყეში,
ზღვის უმძლავრესი შემოქცევის ნამოსანყებ

პოზიციებზე

და – იქაც, სადაც ზვიგენები თავს მოიყრიან.

დღეთა მინურულს

შენ სიმტკიცე უნდა შეგმატონ მზის ჩასვლებმა და
გულითადობამ,

რომელიც სარკმლებს ააელვარებს.

მაგრამ შენ იცი, თუ რომელი ქუთუთოები

განიხვნიენ მწვანე სინათლეთა თავს.

დაცულია გასასვლელები.

ან წილი ჰყარე, რაკი აღყაშემორტყმული ხარ,

გამოითვალე შენს სარკმელთან მერწევ ტოტებზე,
ამოიკითხე ხაზებში შენი ხელისგულისა:

ის, ვინც თავდასხმის ბრძანებას გასცემს,

შენს ხსნაზეც ზრუნავს.

მგლები შენს კვალს ყოველ დილით თოვლში

კარგავენ.

BACH IM DEZEMBER

1

Der grüne Schopf der Wasserpflanzen,
von der Strömung
dem Stein in die Stirne gekämmt.
Die Gedanken
machen das Wasser eisig.

2

Die Linien der Eisränder zeichnen Unruhe auf,
das Fieber des Schilfs, die Erdbeben der Schnecken.
Ihre Diagramme werden erwartet.

3

Der Ölfleck fuhr hinab wie ein Boot,
der Schatten der Angel ist vergessen.
Strömung, Einsicht der Fische –

ნაკადული დეკემბერში

1

წყალმცენარეთა მწვანე ქოჩორი,
დინების მიერ
ქვის შუბლზე რომ გადავარცხნილა.
ყინულოვანი ხდება წყალი
ფიქრთა წყალობით.

2

ყინულის ნაწიბურთა ხაზები მღელვარებას
გამოსახავენ,
ლოკოკინების მიწისძვრას და ლელის ცხელებას.
მოელთან მათ დიაგრამებს.

3

თავქვე ნავივით ჩასრიალდა მაზუთის ლაქა,
დავინწყებულა ანკესის ჩრდილი.
დინება, თევზთა გამჭრიახოზა –

AN EINEM WINTERMORGEN

Wen könnte ich befragen?
Ich hörte den Atem vorm Haus.
Doch der Schlosser schickte mich fort,
der Arzt öffnete nicht.

Wälder und Ställe haben
ihr Vermögen an Mitleid überschritten.
Der Milchwagen nahm uns eine Krankheit ab.
Seine Lichter sind fiebrig.

Ich verfolge die Räderspür,
sie führt in das Dickicht.
Der Schnee bewahrt noch die Zeichen
für die Rückkehr der Vögel auf.

ზამთრის ერთ დღით

ვინ შემეძლო გამომეკითხა?
სახლის წინ სუნთქვას მოვკარი ყური.
მაგრამ უარით დამითხოვა ზეინკალმა,
არ გამიღო კარი ექიმმა.

თანაგრძნობის კუთვნილ ძალებს აღემატნენ
ტყეები და თავლა-ბოსლები.
რძის მანქანამ ჩვენი სენი გადაილოცა.
მხურვალეა მისი ფარები.

მივდევ ბორბალთა ნაკვალევს და
აღმოვჩნდები უსიერ ტევრში.
უკუქცეულ ფრინველთათვის
თოვლი ჯერაც ინახავს ნიშნებს.

KLEINE REPARATUR

Kleine Reparatur: Flammenstoß aus Karbid.

Es genügt ein Mann.

Ein Riß, sagt er, im Geländer der Brücke.

Fine Heftpflaster-Wunde.

So sagt er, um uns zu täuschen,

denn Krankheiten gehen um im Drahtsystem der

Erde.

Telefonleitungen und Erdkabel verbreiten sie

weiter,

Lues, Tuberkulose, Krebs, Leukämie,

Krankheiten, die dem Metall nicht zukommen.

Man hat sie zu spät erkannt.

Aber was hätte man aufhalten können?

Vielleicht liegt dem eine Absicht zugrunde:

Es könnte sein, daß eine Rangänderung im Gange

ist.

Das erste, was der Mensch abgeben muß,

sind seine Krankheiten.

Später das andere.

მცირე რემონტი

მცირე რემონტი: შედუღება კარბიდის ცეცხლით.
ამ საქმეს ერთი კაციც ეყოფა.
ამბობს, რომ ხიდის მოაჯირი გაბზარულია.

სწორედ ისეთი ნაკანრია, ლეიკოპლასტს რომ
საჭიროებს.

ასე ამბობს ჩვენს შესაცდენად,
ვინაიდან სნეულებები მინისქვეშა სადენების
სისტემაში მიმოიფანტნენ.

სატელეფონო ხაზები და მინისქვეშა კაბელები
ხელს უწყობენ მათ გავრცელებას,
ათაშანგი, ჭლექი, სიმსივნე, ლოიკემია,
ლითონისთვის უჩვეულო სნეულებები.
გვიან შენიშნეს.

მაგრამ დროზეც რომ ამოეცნოთ, განა როგორ
შეაკავებდნენ?

იქნებ, ერთ გეგმას ეფუძნება ეს ყველაფერი:
შეიძლება, ამოქმედდა რიგითობის ცვალებადობა.
უპირველესი, რაც უნდა გასცეს ადამიანმა,
არის მისი სნეულებები.
მხოლოდ მერე – სხვა დანარჩენი.

LEMBERG

1

Stadt auf wievielen Hügeln.
Ergrautes Gelb.
Einen Glockenton gibt es dir mit,
hörbar im Klirren
deiner Erkennungsmarke.

2

Abhänge wie die Angst unzählbar.
Die Straßenbahn endet
in einer Steppe von Unkraut
vor abgegriffenen Türen.

ლექსები

1

ქალაქი, რამდენ ბორცვზე ნაგები.
შევერცხლილი ყვითელი ფერი.
შენ იგი ზარის ხმოვანებას გატანს სახსოვრად,
პირადობის შესაცნობი შენი ფირფიტის
ჟღარაჟღურში რომელიც ისმის.

2

შიშებივით დაუთვლელი თავდაღმართები.
ტრამვაის ბოლო გაჩერება
ფერგასული კარების წინ,
სარეველით დაბეჭკილ ველზე.

FEBRUAR

Vom Wind durch leere Straßen getrieben,
an Wirtshaus und Läden vorbei, –
Schnee hat meine Wangen gerieben
und riß mir die Haut entzwei.

Aus Asche gestreut verschlungene Zeichen
über dem freigewehten Stein.
Klingt mir das Ohr, wer will mich erreichen?
Kein Herz, kein Geläute holen mich ein.

Doch der Gedanke hat pochende Hufe,
und Kufen schleifen im Wagengleis,
ein Echo greift flüchtig nach Gitter und Stufe
aus windgebauchten Ärmeln von Eis.

Warst du es, Schatten, der meiner gedachte
und im Läuten der Schellen war?
Ach, der mich flüsternd anrief und lachte,
warf er mir Asche auf Brauen und Haar?

თეზერვალი

ქარისგან დევნილმა ცარიელ ქუჩებში,
შორს გარიდებულმა ტრაქტირს და ფარდულებს,
თოვლმა დამიშაშრა ლოყა და ტუჩები,
კანი გამომიშრო და ფიქრსაც ართულებს.

ქვაზე, საპატრონოდ ნამქერს რომ რგებია:
ნიშნები, ფერფლისგან აქა-იქ შეჭმული.
ყურები ამენვა, ვინ ამდევნებია?
მენევა ვერც ზართა რეკვა და ვერც – გული.

მაგრამ იმედი აქვს ფიქრს ფლოქვის, ხმოვანის,
მარხილის კავები რანდავენ სავალ კვალს,
სახელოს ექო კი, ქარით ნაყროვანის,
გისოსს და საფეხურს ყინულის კბილს გაჰკრავს.

აჩრდილო, შენ იყავ, როს ფიქრი ფიქრობდა,
ვინც მაშინ ეუვნების ჟღარუნში ჰგებდა?
ვინც ჩამქირქილებდა, ჩურჩულით მიხმობდა?
ოჰ, თმა-წვერს და წარბებს ვინც ნაცრით
მივსებდა?

VERÄNDERTE LANDSCHAFT

Die Schwermut kommt von Süden,
daß wir die Schneefelder sehen
und die Waldblößen,
die Stellen im Herzen,
die vergessen sind,
Baumgruppen des Zweifels,
die geschwungenen Wege der Zuversicht
und die Zäune der Armut.

Ob die Toten den Föhn spüren,
zeigen die Brachfelder an.
(Es ist verschieden
wie die Schneereste verschieden sind.)
Die Nachricht der Maulwurfshügel
wird noch weitergegeben,
aber nicht mehr gültig sind
die Namen der Dörfer.

შეცვლილი სანახი

ნაღველი მოდის სამხრეთიდან,
რათა ვხედავდეთ თოვლიან მინდვრებს
და ტყის ნაკაფებს,
დავინყებულ
ადგილებს გულში,
ალაგ-ალაგ შეჯგუფებულ ხეებს ეჭვისა,
ურყევი რწმენის მიმორწეულ გზებს
და ღობეებს შეჭირვებისა.

გრძნობენ თუ არა გარდაცვლილნი მითით
მონაბერ ქარს,
ამას ნასვენი ველ-მინდვრები გაამჟღავნებენ.
(განსხვავება ისეთივე თვალსაჩინოა,
როგორიც არის განსხვავება თოვლის ნარჩინთა.)
კვლავაც ვრცელდება
თხუნელების ბორცვაკთა ცნობა,
მაგრამ ვარგისი აღარ არის
ამ სოფელთა დასახლება.

ANDENKEN

Die Moore, in die wir gehen wollten, sind
trockengelegt.

Der Torf hat unsere Abende gewärmt.
Schwarzen Staub hebt der Wind auf.
Er bläst die Namen von den Grabsteinen
und trägt uns ein
mit diesem Tage.

ხსოვნა

ჭაობები, ჩვენ რომ შესვლას ვაპირებდით,
ამომშრალია.

ტორფმა გაგვითბო სალამოები.
ქარი შავი მტვრით გაჯერებულა.
ის საფლავის ქვებს ნაჰგვრის სახელებს
და ჩვენ დაგვიტანს
ამ დღის თარიღით.

WO ICH WOHNE

Als ich das Fenster öffnete,
schwammen Fische ins Zimmer,
Heringe. Es schien
eben ein Schwarm vorüberzuziehen.
Auch zwischen den Birnbäumen spielten sie.
Die meisten aber
hielten sich noch im Wald,
über den Schonungen und den Kiesgruben.

Sie sind lästig. Lästiger aber sind noch
die Matrosen
(auch höhere Ränge, Steuerleute, Kapitäne),
die vielfach ans offene Fenster kommen
und um Feuer bitten für ihren schlechten Tabak.

Ich will ausziehen.

სადაც მე ვსახლობ

როცა სარკმელი გამოვადლე,
ჩემს ოთახში შემოცურდა ქარავანი თევზთა,
ქაშაყთა. ჩანდა,
სწორედაც მთელი გუნდი მოლივლივებდა.
ზოგნი მსხლის ხეებს შორის ცეკვავდნენ,
მაგრამ მათი უმრავლესობა
ჯერ კიდევ ტყეში,
ნაკრძალთა და კარიერთა თავზე რჩებოდა.

თევზთა მოდგმა აბეზარია. მათზე მეტად კი
მანუხებენ
მეზღვაურები
(მაღალი რანგის მეზღვაურებიც, შტურმანები და
კაპიტნები),
ღია სარკმელს ხშირ-ხშირად რომ მოადგებიან
და ასანთს მთხოვენ ცუდი თუთუნის
გასაბოლებლად.

ბინა უნდა გამოვიცვალო.

MÄRZ

Manche hoffen noch,
das Jahr werde hier enden.
Aber die Abflüsse des Schnees
sind ohne Mitleid.

Schwarz von Schlaf
das Fell des Maulwurfs.
Ihm, der dir zugetan ist,
vergehen die Wochen,
während das Hagelkorn
auf deinem Handrücken schmilzt.

In eine Schiefertafel eingegraben
kehrt die Kindheit zurück:
Das Gras richtet sich auf und horcht.

მარტი

ზოგი ჯერ კიდევ იმედოვნებს,
რომ წელიწადი აქ დასრულდება.
მაგრამ თოვლის დინებები
უმონყალოა.

ძილქუშს შავად შეუღებავს
თხუნელას ბენვი.
მისთვის, შენ რომ ესანდომები,
კვირები გავა,
ვიდრე შენი ხელის ზურგზე
გაიღევა სეტყვის მარცვალი.

ასპიდის დაფაში ჩამარხული
ბავშვობა უკან დაბრუნებულა:
ბალახი წელში იმართება და აყურადებს.

REISE

Du kannst dich abwenden
vor der Klapper des Aussätzigen,
Fenster und Ohren verschließen
und warten, bis er vorbei ist.

Doch wenn du sie einmal gehört hast,
hörst du sie immer,
und weil er nicht weggeht,
mußt du gehen.

Packe ein Bündel zusammen, das nicht zu schwer ist,
denn niemand hilft tragen.
Mach dich verstohlen davon und laß die Tür offen,
du kommst nicht wieder.

Geh weit genug, ihm zu entgehen,
fahre zu Schiff oder suche die Wildnis auf:
Die Klapper des Aussätzigen verstummt nicht.

Du nimmst sie mit, wenn er zurückbleibt.
Horch, wie das Trommelfell klopft
vom eigenen Herzschlag!

მზავრობა

შეგიძლია, ზურგი აქციო
კეთროვანი კაცის რაკუნას,
სარკმელი და ყური დაიხშო
და დაელოდო, ვიდრე ჩაივლის.

მაგრამ თუ ერთხელ მოგეყურა,
მინცივ ჩაგესმის,
და რადგან უკვე არსად წავა,
შენვე უნდა გადაიხვეწო.

ისეთი ბოხჩა გამოკარი, რომ არ დამძიმდეს,
რადგან ზიდვაში შენ არავინ შეგეშველება.
გაიძურნე და გაღებული დატოვე კარი,
არ დაბრუნდები.

შორეთს ეწიე, რათა ეს ხმა ჩამოიშორო,
გემით იმგზავრე ან უდაბურ ადგილს შეუდექ:
არ დადუმდება კეთროვანი კაცის რაკუნა.

შორს დაგირჩება კეთროვანი, რაკუნა კი შენთან
დარჩება.

ყური დაუგდე, რარიგ ფეთქავს დაფდაფი იმას,
რაც შენივე გულისფეთქავა!

ES IST GESORGT

Es ist gesorgt,
daß die Armen nicht ohne Gebete einschlafen.
Der Güterzug spricht, was ihm vorgezeichnet ist.
Wort um Wort fällt der Wassertropfen ein.
Gegen Morgen liest der Wind
in dorrenden Blättern.

Gebete, die um das bitten, was geschieht,
die tägliche Demütigung,
das Salz auf die Wunden,
das steinerne Brot
und eine kürzere Wegstrecke.

Die Tröstungen sind versteckt:
Im Kehrlicht vervielfacht die Rose
abblättern
ihren geträumten Duft.

უკვე იზრუნეს

უკვე იზრუნეს,
რომ ღარიბებმა თავი არ მისცენ ძილს ლოცვების
წარმოუთქმელად.
ხოლო სატვირთო მატარებელი იმას ამბობს, რაც
დაუსახეს.

წყლის წვეთი სიტყვა-სიტყვით ეცემა.
განთიადზე
გამხმარ ფოთლებს კითხულობს ქარი.

ლოცვანი, იმის ლოცვად, რაც ხდება,
ყოველდღიური დამცირება,
მარილმოყრილი ჭრილობები,
ქვის პური და
უმოკლესი გზის მონაკვეთი.

ნუგეშნი კი გადამალულან:
ნაოცნებარ სურნელებას
გამრავლებს ნაგავში ვარდი
მიმოფურცვლილი.

BEHALTE DEN AUGENBLICK

Behalte den Augenblick,
wo Seile und Bretter abgelegt sind,
die Träger in der Wirtschaft Karten spielen,
im Trauerhaus wieder das Feuer brennt
und das erste Gelächter zu hören ist.

გახსოვდეს წამი

გახსოვდეს წამი,
როცა თოკები და ფიცრები მიგდებულა,
მზიდავები ლუდხანაში ბანქოს უსხედან,
სამგლოვიარო სახლში ისევ ცეცხლი ანთია
და პირველი ხარხარი ისმის.

IN ANDEREN SPRACHEN

Wenn der Elsternflug mich befragte,
das Wippen der Bachstelze,
in allen Jahrhunderten vor meiner Geburt,
wenn das Stumme mich fragte,
gab mein Ohr ihm die Antwort.

Heute erinnert mich
der Blick aus dem Fenster.
Ich denke in die Dämmerung,
wo die Antwort auffliegt,
Federn bewegt,
im Ohr sich die Frage rührt.

Während mein Hauch sich noch müht,
das Ungeschiedne zu nennen,
hat mich das Wiesengrün übersetzt
und die Dämmerung denkt mich.

სსპა ენაზუა

რომ დავეკითხე კაჭკაჭთა ფრენას,
ბოლოქანქარას ბოლოს ქანქარს,
ჩემს გაჩენამდე ჩავლილ ყველა საუკუნეში,
მუნჯს რომ ეკითხა,
ჩემი ყური გასცემდა პასუხს.

დღეს მე მიხსენებს
ხედი სარკმლიდან.
ჩავფიქრებოვარ ბინდბუნდს,
პასუხი საიდანაც ამოფრინდება,
ბუმბულს აიშლის,
მიმოიძვრის ყურში შეკითხვა.

ვიდრე ირჯება ჩემი სუნთქვა
განუყრელის სახელდებისთვის,
მწვანე მინდორმა უკვე მთარგმნა
და ბინდბუნდიც ჩამფიქრებია.

MITTAGS UM ZWEI

Der graue Spitz des Pfarrers
an der Sakristeitür.
Vor seinen erblindenden Augen
schwirren im Sand die Flügel der Sperlinge.

Er spürt wie Erinnerungen
die Schnur des Fasanenbündels,
die in der Friedhofsmauer als Riß erschien,
das Beben der Grabsteine,
wenn die Raupe buckelt vorm lähmenden Stich,
die Verfärbung der Ziegel
beim Schrei des sterbenden Maulwurfs.

Gelassen vernimmt er
das Gerücht aus den Wäldern,
die Tore des Paradieses würden geöffnet.

შუადღის ორ საათზე

საკრისტიის კარის ზღურბლთან –
მღვდლის ლეგა შპიცი.
დაბრმავებულ მის თვალთა წინ
ბელურები ფრთებით ქვიშას მიმოფერთხავენ.

ისე გრძნობს, როგორც მოგონებებს,
ის ხოხობთა გამოსანასკვ თოკს,
სასაფლაოს გალავანში ბზარად რომ დაჩნდა;
საფლავის ქვების აძაგძაგებას;
მტანჯველ ჩხვლეტამდე მუხლუხის გრეხას;
და – აგურის ფერისცვალებას,
როცა თხუნელა კვდება და ყვირის.

ის დინჯად ისმენს
ტყეებიდან მოსულ უწყებებს,
გახსნილანო კარიბჭენი სამოთხისანი.

FRÄNKISCH-TIBETISCHER KIRSCHGARTEN

Gebet im Ohr der Stare
aus den Zellen der Klosterstadt,
über den Kirschenhängen
die Äderung im Blatt,

mit Rost- und Regenzeichen
geschrieben auf flatterndes Gras,
was von zerfransten Bändern
zornig der Paßwind las,

von einem Wolkenschatten
in die Kirschenhaut geprägt,
ein Rauschen, das die Schnecke
in ihrem Hause trägt,

das vom Boden des Kessels
aufsteigt, eine Welle im Tee,
über den Pilgerzelten
geißt als Fahne von Schnee.

ფრანკონულ-ტიბეტური ალუბლის გალი

შოშიების ყურს ლოცვა მსჭვალავს –
მონასტრის კედლებში აღვლენილი,
დაზნექილ ალუბლებს ეფინება
ფოთლები – ძარღვებით დაქსელილი,

დაგდაგა ბალახზე კვლავ წერია
ჟანგას და წვიმების ხშირ ნიშნებად
ის, რისი ნაკითხვაც ძენი წიგნებში
მრისხანე ორქარმა მოინება,

შორეულ ღრუბელთა ჩრდილის მიერ
ალუბლის ხის ქერქზე დანაჭდევი,
შრაშუნი, რომელსაც ლოკოკინას
სახლაკი გამოსცემს – გზას ნაჩვევი,

როგორც საჩაიე წყლის თუხთუხი,
ქვაბურის ფსკერიდან რაც დაძრულა,
მომლოცველთ კარვებზე გაშლილა და
თოვლის დროშასავით აღმართულა.

DER MANN IN DER BLAUEN JACKE

Der Mann in der blauen Jacke,
der heimgeht, die Hacke geschultert, –
ich sehe ihn hinter dem Gartenzaun.

So gingen sie abends in Kanaan,
so gehen sie heim aus den Reisfeldern von Burma,
den Kartoffeläckern von Mecklenburg,
heim aus Weinbergen Burgunds und kalifornischen
Gärten.

Wenn die Lampe hinter beschlagenen Scheiben
aufscheint,
neide ich ihnen ihr Glück, das ich nicht teilen muß,
den patriarchalischen Abend
mit Herdrauch, Kinderwäsche, Bescheidenheit.

Der Mann in der blauen Jacke geht heimwärts;
seine Hacke, die er geschultert hat,
gleicht in der sinkenden Dämmerung einem
Gewehr.

ლურჯქურთუკიანი მამაკაცი

ლურჯქურთუკიანი მამაკაცი,
თოხით მხარზე, შინ რომ ბრუნდება, –
მე მას ვხედავ ბალის ლობეცხაურის მიღმა.

ასე ვიდოდნენ ქანაანში ისინი მწუხრზე;
ბირმაში ბრინჯის ყანებიდან,
მეკლენბურგში კარტოფილის მინდვრებიდან,
ბურგუნდეთში ვენახებიდან, კალიფორნიაში
ბაღებიდან
გზას შინისკენ ისინი ახლაც ასე ადგანან.

დაორთქლილი მინების მიღმა სინათლე რომ
გამოჩნდება,
მე მშურს მათი ბედნიერება, ჩემთვის უკვე
ჩარაზული,
პატრიარქალური მიმწუხრი,
კერიის კვამლით და ბავშვების თეთრეულით და
მოკრძალებით.

ლურჯქურთუკიანი მამაკაცი შინ ბრუნდება;
და ის თოხი, მხარზე რომ უდევს,
განლევადი მწუხრის ბინდში თოფის მსგავსია.

DIE PFARRERSKÖCHIN

Die Pfarrersköchin schwenkt die Pfanne,
der Teig verteilt sich mit Gezisch.
Hier wartet Eiweiß, Lauch und Fisch,
der Rahm in der Emaillekanne.

Geruch von Rauch und von Gewürzen.
Die Köchin schwitzt im Feuerschein.
Die Gartenarbeit fällt ihr ein.
Die rote Grütze muß sie stürzen.

Sie scheucht die Fliege aus dem Haar
und von den frischgetünchten Mauern.
Der Regen draußen wird nicht dauern.
Wie schnell verging das letzte Jahr!

Der Mesner zieht die Glockenschnur,
im Echo schwingt das Netz der Spinnen.
Unhörbar mahnt im Niederrinnen
der rote Sand der Eieruhr.

მღვდლის მზარეული ქალი

ტაფას შეუტევს მღვდლის მზარეული, სრული
სულისკვეთებით, ცომის შიშხინიც ისმის.
აქეთ მინანქრის ჯამში ნაღები იცდის,
იქით კი – პრასი, თევზი და კვერცხის გული.

დგას სურნელება სუნელების და ბოლის.
მღვდლის მზარეული ღვივის, იღვრება ოფლად.
ბაღშიც საქმე აქვს, არდასარჩენი ოხრად.
წითელ კისელში ხილი ემხოზა ბოლოს.

ბუზი დააფრთხო დიაცის მარჯვე ხელმა,
ნაჩვევი თმას და თეთრად შეღებილ კედლებს.
დიდხანს არ გასტანს წვიმა, მზე მინას ეძებს.
რა სწრაფად განვლო უკანასკნელმა წელმა!

მნათე თოკს მისწვდა და აგუგუნდა ზარი,
აბლაბუდები ააცახცახა ექომ.
შესახსენებლად სანიაღვრეებს ერგო
ქვიშის საათთა ქვიშა, ჩუმი და ჟღალი.

KURZ VOR DEM REGEN

Gleich wird es regnen, nimm die Wäsche herein!
Auf der Leine die Klammern schwanken.
Ein Wolkenschatten verdunkelt den Stein.
Die Dächer sind voller Gedanken.

Sie sind gedacht in Ziegel und Schiefer,
gekalkten Kaminen und beizendem Rauch.
Mein Auge horcht den bestürzenden Worten, –
o lautloser Spruch aus dem feurigen Strauch!

Ein Schluchzen beginnt in mir aufzusteigen.
Die wandernden Schatten ändern den Stein.
Ein Windstoß zerrt an den flatternden Hemden.
Gleich regnet es. Hol die Wäsche herein!

განვიმეგამდე

მალე განვიმდება, მიხედვით თეთრეულს!
თოკზე ცახცახებენ სამაგროთა თავები.
საავდრო ღრუბელი აბნელებს ქვაფენილს.
მძიმე საფიქრალით ხურს სახურავები.

შეკირულ საკვამურთ, ფიქრებად აკვამლულთ,
კრამიტის, შიფერის მოუსხამთ მანტია.
თვალით ვაყურადებ თავზარდამცემ სიტყვებს, –
ო, უხმო სიბრძნის ხმა, ბუჩქში რომ ანთია!

ქვითინი მერევა. გზადმყოფი ჩრდილები
მიზეზად ქცევიან ქვის იერს, შერეულს.
ქარი ჩაფრენია დააფრულ პერანგებს.
სულ მალე ინვიმებს, მიხედვით თეთრეულს!

BETRACHTET DIE FINGERSPITZEN

Betrachtet die Fingerspitzen, ob sie sich schon
verfärben!

Eines Tages kommt sie wieder, die ausgerottete
Pest.

Der Postbote wirft sie als Brief in den rasselnden
Kasten,
als eine Zuteilung von Heringen liegt sie dir im
Teller,
die Mutter reicht sie dem Kinde als Brust.

Was tun wir, da niemand mehr lebt von denen,
die mit ihr umzugehen wußten?

Wer mit dem Entsetzlichen gut Freund ist,
kann seinen Besuch in Ruhe erwarten.

Wir richten uns immer wieder auf das Glück ein,
aber es sitzt nicht gern auf unseren Sesseln.

Betrachtet die Fingerspitzen! Wenn sie sich schwarz
färben,
ist es zu spät.

დაითვალე რეთ თითის წვერები

დაითვალე რეთ თითის წვერები, უკვე ფერი ხომ
არ შეცვლია!

ის – შემუსვრილი შავი ქირი – ერთ დღეს ისევ
დაგვიბრუნდება.
ფოსტალიონი წერილის სახით ჩააცურებს ჟღარუნა
ყუთში,
ქაშაყის ულუფის სახით აღმოჩნდება ის შენს
თეფშზე,
ჩვილი მას დედის მკერდით მიიღებს.

რა ვიღონოთ, როცა უკვე აღარავინ დარჩა ისეთი,
ვინც იცოდა, შავ ქირს როგორ გამკლავებოდა?
ვინც საზარელს საიმედოდ დაუმეგობრდა,
შეუძლია, მის სტუმრობას მშვიდად ელოდოს.
ჩვენ, როგორც წესი, ხელგაშლილნი ვეგებებით
ბედნიერებას,
მაგრამ ის ამ ჩვენს სავარძლებში თავს კარგად
ვერ გრძნობს.

დაითვალე რეთ თითის წვერები! შავად როცა
შეიფერება,
გვიან იქნება.

BRIEFSTELLE

Keins von den Büchern werde ich lesen.

Ich erinnere mich
an die strohumflochtenen Stämme,
an die ungebrannten Ziegel in den Regalen.
Der Schmerz bleibt und die Bilder gehen.

Mein Alter will ich in der grünen Dämmerung
des Weins verbringen,
ohne Gespräch. Die Zinnteller knistern.

Beug dich über den Tisch! Im Schatten
vergilbt die Karte von Portugal.

ამონარიდი წერილიდან

ერთ წიგნსაც აღარ წავიკითხავ.

მაგონდება

ხის ტანები – ჩაღით მოსილი,

თაროებს შორის – აგურები, გამოუმწვარი.

სურათ-ხატები ქრება, მაგრამ ტკივილი რჩება.

ჩემმა სიბერემ, მსურს, ღვინის მწვანე

ბინდბუნდში განვლოს,

ულაპარაკოდ. ტკაცანებენ კალის ჯამები.

გადაეფარე მაგიდას! ჩრდილში

პორტუგალიის რუკა ყვითლდება.

EINSICHT

Alle wissen,
daß Mexiko ein erfundenes Land ist.

Als ich das Küchenspind öffnete,
fand ich die Wahrheit
zugedeckt
in den beschrifteten Büchsen.

Die Reiskörner
ruhen sich aus von den Jahrhunderten.
Vorm Fenster
setzt der Wind seinen Weg fort.

ბაცნობიერება

ყველამ იცის,
რომ მექსიკა გამოგონილი ქვეყანაა.

როცა სამზარეულოს კარადა გავაღე,
ჭეშმარიტება
წარწერიან კონსერვის ქილებში
დამწყვედელი დამხვდა.

ბრინჯის მარცვლები
საუკუნეებისგან ისვენებენ.
სარკმლის წინ
ქარი თავის გზას აგრძელებს.

AUGENBLICK IM JUNI

Wenn das Fenster geöffnet ist,
Vergänglichkeit mit dem Winde hereinweht,
mit letzten Blütenblättern der roten Kastanie
und dem Walzer »Faszination«
von neunzehnhundertundvier,
wenn das Fenster geöffnet ist
und den Blick freigibt auf Floßhafen und Stapelholz,
das immer bewegte Blattgewirk der Akazie, –
wie ein Todesurteil ist der Gedanke an dich.
Wer wird deine Brust küssen
und deine geflüsterten Worte kennen?

Wenn das Fenster geöffnet ist
und das Grauen der Erde hereinweht –

Das Kind mit zwei Köpfen,
– während der eine schläft, schreie der andere –
es schreit über die Welt hin
und erfüllt die Ohren meiner Liebe mit Entsetzen.
(Man sagt, die Mißgeburten nähmen seit Hiroshima
zu.)

Wenn das Fenster geöffnet ist, gedenke ich derer,

ნაპი იპნისში

როცა სარკმელი გაღებულია,
და როცა ქარი, ნითელი წაბლის უკანასკნელი
ყვავილები
და ათასცხრაასოთხი წლის ვალსი „ჯადოქრობა“
წარმავლობით ავსებენ ოთახს,
როცა სარკმელი გაღებულია
და სატყეო ნავსადგური და დახერხილი
ფიცრების ხედი
და აკაციის განუწყვეტლივ მოუსვენარი
ფოთლეული მეშლება თვალწინ, –
ჩემთვის ამ დროს შენზე ფიქრი სასიკვდილო
განაჩენია.

ვისი ამბორი დაფარავს შენს მკერდს
და ვინ მოისმენს შენს ნაჩურჩულევს?

როცა სარკმელი გაღებულია
და ოთახში დედამიწის შიშისზარი შემოუბერავს –

ორთავა ბავშვი,
– ერთ თავს რომ სძინავს, მეორე ყვირის –
ყვირილი მსჭვალავს ქვეყნიერებას
და შეძრწუნებით ავსებს ჩემი სატრფოს სასმენელს.
(ამბობენ, სიმახინჯეებმა ჰიროშიმას მერე იმატა.)

die sich liebten im Jahre neunzehnhundertundvier
und der Menschen des Jahres dreitausend,
zahnlos, haarlos.

Wem gibst du den zerrinnenden Blick, der einst
mein war?
Unser Leben, es fährt schnell dahin als flögen wir
davon,
und in den Abgründen wohnt verborgen das Glück.

როცა სარკმელი გაღებულია, ვიხსენებ იმათ,
ვისაც ერთურთი ათასცხრაასოთხ წელს უყვარდა,
და – მესამე ათასწლეულის ადამიანებს,
უკბილოს, უთმოს.

მაინც ვის ჩუქნი შენს ქრობად მზერას, რომელიც
ერთ ღროს მე მეკუთვნოდა?
ჩვენი სიცოცხლე: სწრაფად ქროდეს ერთ მხარეს
თითქოს, ჩვენ კი მეორე მხარეს მივფრენდეთ.
და მალვით სახლობს უფსკრულებში ბედნიერება.

KÖNIGIN HORTENSE

Alles in Blau, obwohl du kein Blau siehst:
Königin Hortense,
der Sommerhut breitrandig,
die vielen Bänder.

In Verbannung hinter der Hecke, – wie lange schon?
Niemand hat es gewußt, Majestät.
Ein Handschuhwinken: Geste aus Blütenstaub,
die Huld eines Mundes in Wespenflügeln.
Leicht zu vertauschen mit einer Blume, ach
Königin.

Wer wart ihr andern im Garten, schreckliche Seelen?
Gebt Ruh, ihr, verborgen hinter der Schönheit!
Wo fängt eure Stille an? Es klirrt
von Geschmeide, von Ketten,
von Schaufeln, von Schwertern.
Es schreit.

დედოფალი ჰორტენზია

ლურჯი არსად ჩანს, მაგრამ მაინც ყველაფერი
ლურჯით მოსილა:

დედოფალი ჰორტენზე,
ფართოფარფლიანი საზაფხულო შლაპა,
მრავალი ბაფთა.

გადასახლება სხლტეთა მიღმა – რა ხანია უკვე
გასული?

თქვენო უდიდებულესობავ, არავინ უნყოდა.
განიშნებული ხელთათმანი: ყვავილის მტვრის
ჟესტი,
კრაზანის ფრთებით გარემოცულ ბაგეთა ხიბლი.
იოლად როდი განირჩევა ყვავილისგან, ოჰ,
დედოფალო.

სხვანო, ამ ბაღში ვინ ჰგვიბდით, საზარნო სულნო?
დადუმდებოდეთ, სილამაზის მიღმა მალულნო!
თქვენი სიჩუმე სად იწყება? ისმის ჟღარუნი
აღკაზმულობის, ბორკილთა და
ნიჩაბთა, ხმალთა.
გოდება ისმის.

JAPANISCHER HOLZSCHNITT

Ein rosa Pferd,
gezäumt und gesattelt, –
für wen?

Wie nah der Reiter auch sei,
er bleibt verborgen.

Komm du für ihn,
tritt in das Bild ein
und ergreif die Zügel!

ი ა ლ მ ა ლ ი ბ რ ა ვ ი უ რ ა ს ე ზ ე

ვარდისფერი ბედაური,
ამოლაგმული და უნაგირდადგმული, –
ვისთვის?

რარიგ ახლოსაც უნდა იყოს მხედარი,
მაინც უჩინარია.

დაე, მის ნაცვლად
შეაბიჯე სურათში და
გადასწვდი აღვირს!

EIN WINDSTOSS

Starrer stehn die Weizenhalme,
wenn der Wind den Reigen welt.
Staub hängt in zerrissnen Fahnen
länger als der Wind sie hält.
Nicht sein Wehen, sein Gedächtnis
regt sich im bewegten Feld,
bis der Staub, der ihn vergessen,
ockerrot und lautlos fällt.

ქარის კლიერი ნამოქროლება

დგას ხორბლის ჯარი უძრავად, ვიდრე
ფერხულში ჩართავს ქარი ძლიერი.
დროშებს, დაძონძილს, ამფრიალებელ
ქარზე ხანგრძლივად ერთგულებს მტვერი.
ქარის ხსოვნაა და არა – ქროლვა,
რასაც ხმას უწყობს მღელვარე ველი,
ვიდრემდე მტვერი, ქარს რომ ივინყებს,
სულს დაღევს, უხმო და ჟანგისფერი.

LESEN IM GEWITTER

Texte, gesetzt
um deine Verfolgung zu regeln,
Buchstaben im Weiß,
schwarzes Geäst,
Laubwerk,
in die Ordnung des Bösen gebracht –

Für die Dauer des Blitzes
gewinnt dein Auge
seine Unschuld zurück:
Der Himmel
ist auf den Grund der Bäume gezeichnet,
die Nachricht für dich ist weiß.

კითხვა ავღარში

ტექსტები, შენზე
გამოძიების დასაწყებად დადგენილი,
ასოები თეთრით მოსილი,
შავი ტოტები,
ფოთლეული,
ბოროტებით წესრიგდასმული –

ვიდრე ელვა დასრულდება,
შენი თვალი
კვლავ იქნება ცამდე მართალი:
ცა
მოხატული არის ხეებით,
შენთვის ნაუწყებს თეთრი ფერი აქვს.

TAUBEN

Taubenflug über die Äcker hin, -
ein Flügelschlag, der schneller ist als die Schönheit.
Sie holt ihn nicht ein, sondern bleibt mir
als Unbehagen zurück im Herzen.

Als wäre auch Taubengelächter vernehmbar
vor den Schlägen, den grün gestrichenen
Zwerghäusern,
und ich beginne nachzudenken,
ob der Flug ihnen wichtig ist,
welchen Rang die Blicke zum Erdboden haben
und wie sie das Aufpicken des Kornes einordnen
und das Erkennen des Habichts.

Ich rate mir selbst, mich vor den Tauben zu
fürchten.
Du bist nicht ihr Herr, sage ich, wenn du Futter
streust,
wenn du Nachrichten an ihre Federn heftest,
wenn du Zierformen züchtest, neue Farben,
neue Schöpfe, Gefieder am Fuß.
Vertrau deiner Macht nicht,
so wirst du auch nicht verwundert sein,

მტრედები

მტრედები ნახნავ-ნათეს მინდვრებს
გადაუფრენენ, –
სილამაზეზე უსწრაფესი ფრთებისცემაა.
მას ვერ ეწევა სილამაზე, და გულში შთენილ
ფორიაქად ჩამომირჩება.

სამტრედებს და მწვანედ ნაფერ ამ ჯუჯა სახლებს
თითქოს შეეძლოთ გაგონებაც მტრედთა
ხარხარის,

და უკვე ვფიქრობ:
იქნებ, მათთვის ეს ფრენაა მნიშვნელოვანი,
ან, ვთქვათ, რამდენად არსებითია მათთვის, რომ
მინას მოავლონ თვალი,
ან რა ფასი აქვს მათთვის ხორბლის მარცვლების
კენკვას
ან – როცა ქორი აღმოჩნდება თვალსაწიერში.

ჩემს თავს ვურჩევ, ვუფრთხოდე მტრედებს.
ვამბობ: შენ არ ხარ მათი ბატონი, საკენკს რომ
უყრი,
საფოსტო მიზნით რომ იყენებ,
დეკორატიულ ფორმებად რომ გარდაქმნი და –
ახალ ფერებად,

wenn du erfährst, daß du unwichtig bist,

daß neben deinesgleichen heimliche Königreiche
bestehen,

Sprachen ohne Laut, die nicht erforscht werden,
Herrschaften ohne Macht und unangreifbar,
daß die Entscheidungen geschehen im Taubenflug.

ახალი ქოჩრით რომ ამშვენებ და ბუმბულით
უმოსავ ფეხებს.

ნუ მიენდობი შენს ძლიერებას,
რათა არ დარჩე გაკვირვებული,
როცა მიხვდები: უმნიშვნელო ყოფილხარ
მათთვის,

რომ, თურმე, აქვე არსებულა იდუმალი სამეფოები
და – უბგერებო ის ენები, ჯერაც რომ არ
გამოკვლეულა,
ძალის არმქონე, მაგრამ მაინც შეუვალი
საბრძანებლები,
და რომ ფრენის დროს მიეცემათ მტრედებს
წესები.

NAHE BEI AACHEN

Die Geheimnisse
wurden bekannt gegeben.
Hydrantenzeichen
mit der vergeblichen
Blutspur des Holunders.

Kaiser:
Die schreiben können,
warten mit den Urkunden.
Zieh die Unterschrift voll
mit zwei Strichen: Carolus.

აახენის სიასლოვეს

საიდუმლოებებმა
დღის სინათლე იხილეს.
საჰიდრანტო ნიშნულები –
ანწლის უშედეგო
სისხლის კვალით.

კაიზერი:
ვინც წერა იცის,
ყველა სიგელ-გუჯრებით იცდის.
დასვი ხელმონწერა
ორი შტრიხით: კაროლუსი.

ENDE AUGUST

Mit weißen Bäuchen hängen die toten Fische
zwischen Entengrütze und Schilf.
Die Krähen haben Flügel, dem Tod zu entrinnen.
Manchmal weiß ich, daß Gott
am meisten sich sorgt um das Dasein der Schnecke.
Er baut ihr ein Haus. Uns aber liebt er nicht.

Eine weiße Staubfahne zieht am Abend der
Omnibus,
wenn er die Fußballmannschaft heimfährt.
Der Mond glänzt im Weidengestrüpp,
vereint mit dem Abendstern.
Wie nahe bist du, Unsterblichkeit, im
Fledermausflügel,
im Scheinwerfer-Augenpaar,
das den Hügel herab sich naht.

აგვისტოს დასასრული

დაკიდებულან თეთრმუცლიანი მკვდარი თევზები
ლემნასა და ლელიანს შორის.

ყვავებს ფრთები აქვთ სიკვდილისგან

თავდასაღწევად.

ზოგჯერ მე ვიცი, რომ ღმერთი ზრუნავს

ყველაზე მეტად ლოკოკინას არსებობაზე.

მას სახლს უშენებს. მაგრამ ჩვენს მიმართ

სიყვარული არ გააჩნია.

სალამოს, როცა შინ ბრუნდება ფეხბურთის გუნდი,
ომნიბუსი მტვრის თეთრ დროშას მიაფრიალებს.

მწუხრის ვარსკვლავთან დანყვილებული,

ტირიფებში კაშკაშებს მთვარე.

რარიგ ახლოს ხარ, უკვდავებავ, ღამურას

ფრთებში,

ავტოფარების იმ ნყვილ თვალში,

დაღმართში გორაკს რომ იახლოვებს.

NACHTS

Nachts hören, was nie gehört wurde:
den hundertsten Namen Allahs,
den nicht mehr aufgeschriebenen Paukenton,
als Mozart starb,
im Mutterleib vernommene Gespräche.

ღამღამობით

რომ ჩაგესმოდეს ღამღამობით, რაც არავის
მოუსმენია:

ალაჰის მეთასე სახელი,
მოცარტის გარდაცვალების მიზეზით
არდანწერილი ლიტავრის ჰანგი,
საუბრები, მოსმენილი დედის საშოში.

HIMBEERRANKEN

Der Wald hinter den Gedanken,
die Regentropfen an ihnen
und der Herbst, der sie vergilben läßt –

ach, Himbeerranken aussprechen,
dir Beeren ins Ohr flüstern,
die roten, die ins Moos fielen.

Dein Ohr versteht sie nicht,
mein Mund spricht sie nicht aus,
Worte halten ihren Verfall nicht auf.

Hand in Hand zwischen undenkbaren Gedanken.
Im Dickicht verliert sich die Spur.
Der Mond schlägt sein Auge auf,
gelb und für immer.

ჟოლოს ყლორტები

ტყე – ფიქრებს ამოფარებული,
მათთანვეა წვიმის წვეთები
და შემოდგომა, მათ რომ აყვითლებს –

ოჰ, რომ გამოვთქვა ჟოლოს ყლორტები,
ხოლო შენ ყურში ჩაგჩურჩულო მაჟალოები,
ლაჟღაჟები, ხავსიანში ჩაცვენილები.

ვერ გაუგია ისინი შენს ყურს,
მათ ვერ გამოთქვამს ჩემი ბაგე,
მათი დაშლის შეკავება სიტყვებს არ ძალუძთ.

ფიქრით მიუგნებ ფიქრებს შორის, ასე, ხელიხელ.
კვალი ტევრში უჩინარდება.
თვალს ახელს მთვარე,
ყვითელს და მუდმივს.

INHALT

ENDE EINES SOMMERS	8
TAGE MIT HÄHERN	10
WALDBLÖSSE	12
GEGENWART	14
D-ZUG MÜNCHEN - FRANKFURT	18
DER GROSSE LÜBBE-SEE	20
HERRENCHIEMSEE	22
BOTSCHAFTEN DES REGENS	24
VERLASSENE ALM	28
WESTWIND	30
STRANDGUT	34
STRAND MIT QUALLEN	36
BELAGERUNG	38
BACH IM DEZEMBER	40
AN EINEM WINTERMORGEN	42
KLEINE REPARATUR	44
LEMBERG	46
FEBRUAR	48
VERÄNDERTE LANDSCHAFT	50
ANDENKEN	52
WO ICH WOHNE	54
MÄRZ	56
REISE	58

შინაარსი

ერთი ზაფხულის დასასრული	9
დღეები ჩნიკვებთან ერთად	11
ტყის ველოები	13
ანგჟო	15
სწრაფი მათარებელი	19
ლიუბკუს დიდი ტბა	21
ჰერენნიმზე	23
წვიმის უწყებანი	25
მიტოვებული მთის საძოვარი	29
დასავლეთის ქარი	31
ბამონარიყი	35
მედუზებიანი სანაპირო	37
ალყა	39
ნაკადული დეკემბერში	41
ზამთრის ერთ დილით	43
მცირე რემონტი	45
ლემბერები	47
თებერვალი	49
შეცვლილი სანახი	51
ხსოვნა	53
სადაც მე ვსახლობ	55
მარტი	57
მგზავრობა	59

ES IST GESORGT	60
BEHALTE DEN AUGENBLICK	62
IN ANDEREN SPRACHEN	64
MITTAGS UM ZWEI	66
FRÄNKISCH-TIBETISCHER KIRSCHGARTEN	68
DER MANN IN DER BLAUEN JACKE	70
DIE PFARRERSKÖCHIN	72
KURZ VOR DEM REGEN	74
BETRACHTET DIE FINGERSPITZEN	76
BRIEFSTELLE	78
EINSICHT	80
AUGENBLICK IM JUNI	82
KÖNIGIN HORTENSE	86
JAPANISCHER HOLZSCHNITT	88
EIN WINDSTOSS	90
LESEN IM GEWITTER	92
TAUBEN	94
NAHE BEI AACHEN	98
ENDE AUGUST	100
NACHTS	102
HIMBEERRANKEN	104

უკვე იზრუნეს	61
ბახსოვდეს წამი	63
სხვა ენებზე	65
შუადღის ორ საათზე	67
ფრანკონულ-ტიბეტური ალუბლის გალი	69
ლურჯქურთუკიანი მამაკაცი	71
მღვდლის მზარეული ქალი	73
ბანვიმეზამდე	75
დაითვალე რათ თითის წვერები	77
ამონარიდი წერილიდან	79
ბაცნობიერება	81
წამი ივნისში	83
დედოფალი ჰორტენზი	87
იაპონური გრავიურა ხეზე	89
ქარის ძლიერი წამოქროლება	91
კითხვა ავღარში	93
მტრელები	95
აახენის სიახლოვეს	99
აგვისტოს დასასრული	101
ღამღამობით	103
ქოლოს ყლორტები	105



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@gmail.com